



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 570
20/03/2018

ქალაქი ბათუმი

570-05-4-201803201552



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ კაპანდიბში მდებარე 37971 კვ.მ და სოფელ წინსვლაში მდებარე 11412 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (სასაფლაო) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხელვაჩაურის სასაფლაოები“-ზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №07 განკარგულებისა და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ა. ბაჟაშვილის 2018 წლის 7 მარტის №683-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხელვაჩაურის სასაფლაოები“-ს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ კაპანდიბში მდებარე 37971 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 22.26.11.165) და სოფელ წინსვლაში მდებარე 11412 კვ.მ (ს/კ 22.22.15.123) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სასაფლაო).

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების უფროსის დროებით შემცვლელს (გიორგი ბერიძე) მიენიჭოს უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გააფორმოს ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სასაფლაოები“-თან უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება, ხოლო მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილებამ (ანა ბაჟაშვილი) უზრუნველყოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

